

## სამეცნიერო კონფერენცია – 2017 წ.

### 1. „არქიტექტურის აკადემიური სივრცე – აზროვნების პერსონიფიცირების ფენომენი“

ასოცირებული პროფესორი მედეა მელქაძე

#### ანოტაცია

მოხსენების მიზანია:

- მოხდეს არქიტექტურული მოღვაწეების ორი სივრცის – შემოქმედებით – პრაქტიკულისა და აკადემიურ-შემოქმედებით კონცეპტუალურის შეხების წერტილების დაფიქსირება და ურთიერთშეხების ფენომენის ამოხსნა.
- გარკვევა არქიტექტურული სამეცნიერო ბაზის ადგილისა არქიტექტურული სწავლების აკადემიურ სივრცეში, რაც მოგვცემს საშუალებას შევაფასოდ შემოქმედის-პიროვნების ტალანტისა და გამოცდილების ფენომენი სამეცნიერო ინსტრუმენტალიებით. შემოქმედებითი პროცესის ანატომია – არქიტექტურული მოღვაწეობის შემოქმედებითი ნაწილის, როგორც არქიტექტურული აზროვნების კონცეპტუალური მხარის ანალიზი და მისი დაშლა შემეცნებით ვექტორებად - არის ჩვენი სწავლების მეთოდის ქვაკუთხედი.  
– სიტყვა და აზრი, - ტექსტი და ხაზი, აზროვნების ჩამოყალიბება ფილოსოფიურ-პოეტურ ტექსტად-ესსედ – და შემდგომში - ესე – ტექსტი – განცხადებული ინსტალაციაში, რაც წარმოადგენს აზრის სივრცულ პროექციას – არის ჩვენი მეთოდისა და შედეგად ძიებების სივრცე.

ნიჭი და ტალანტი არ ექვემდებარება გაზომვას, მაგრამ ახალგაზრდის სწორ შემეცნებით გზაზე დაყენება შესაძლებელია – არქიტექტურული შემოქმედების პრაგმატული მხარის მეცნიერული გაანალიზების საშუალებით.

პირველი საერთაშორისო კონფერენცია „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: სტრატეგიები და გამოწვევები“; 12 ოქტომბერი, 2017 წ. სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი; ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი. სტუ, ადმინისტრაციული კორპუსი, 3 სართული, შეხვედრების ოთახი, კოსტავას 77; კორპუსი; 403 აუდიტორია; web-საიტო: <https://sites.google.com/gtu.ge/tempus-rethinke/home>

### 2. „უნივერსალური პროექტირების თავისებურებათა გამოვლენა საგანმანათლებლო სივრცეში.“

პროფესორი ნინო იმნაძე

#### ანოტაცია

თანამედროვე ურბანული კულტურის ერთ ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ბარიერების გარეშე საქალაქო სივრცის ფორმირება. რაც გულისხმობს ქალაქის გარდქმნას უსაფრთხო და ხელმისაწვდომ გარემოდ ისე, რომ მისი ცალკეული ნაწილები არ დაკარგავენ თავისებურებას და ინდივიდუალობას. უსაფრთხო გარემოს ხელმისაწვდომობის ძირითადი პირობაა შ.შ.მ. პირებმა შეძლონ დამოუკიდებელი ცხოვრება. მისი მიღწევა შესაძლებელია გარემოში არსებული ბარიერების დაძლევით უნივერსალური პროექტირების კონცეფციის საფუძველზე. ძირითადი ბარიერი, რომელიც შეიძლება გაჩნდეს უნივერსალურ პროექტირებისას ეს არის შემოქმედებით აზროვნებაში ტიპობრიობის და გამეორებადობის დაუძლეობა. ამისთვის საჭიროა პროფესიონალების აღზრდა, უმაღლესი სასწავლებლებში

სასწავლო კურსების დანერგვა და მასთან ერთად ცნობიერების ამაღლება. სპეციალისტების აღზრდის და უნივერსალური პროექტირების მნიშვნელობის შესახებ ცოდნის გავრცელების და სწავლის მიზნით ვარშავის და გდინიას ტექნიკური უნივერსიტეტების არქიტექტურის ფაკულტეტის სასწავლო პროგრამებში დაინერგა სასწავლო კურსი „უნივერსალური პროექტირება“. სწავლის მეთოდოლოგია ორიგინალურია, რომელიც ეფუძნება სიმულაციას. ანალიზმა დაგვანახა, რომ აუცილებელია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დაინერგოს პოლონეთის არქიტექტურულ სკოლებში არსებული გამოცდილება, მოხდეს მისი ადაპტირება საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით.

პირველი საერთაშორისო კონფერენცია „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: სტრატეგიები და გამოწვევები“; 12 ოქტომბერი, 2017 წ. სტუ, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი; ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი. სტუ, ადმინისტრაციული კორპუსი, 3 სართული, შეხვედრების ოთახი, კოსტავას 77; სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი, კოსტავას 77 I-c კორპუსი; 403 აუდიტორია;

web-საიტი: <https://sites.google.com/gtu.ge/tempus-rethinke/home>

### **3. ქარხნების და ფაბრიკების არქიტექტურის ტრანსფორმაციის თავისებურებათა კვლევა თბილისის რეალობაში**

პროფესორი ნინო იმნაძე

#### ანოტაცია

წინამდებარე მოხსენების მიზანია თანამედროვე თბილისის ურბანულ გარემოში არსებული ფუნქცია დაკარგული ქარხანა და ფაბრიკების ტრანსფორმაციის თავისებურებათა კვლევა მომავალში მათი არსებობის პერსპექტივის განსაზღვრისთვის. ქალაქის სტრუქტურაში, სამრეწველო ობიექტები თავიანთი იერით ანგრევს საქალაქო სივრცის ჰარმონიას და ქმნის „მკვდარ წერტილებს“ ქალაქის რუქაზე. აქედან გამომდინარე, ფუნქცია დაკარგული ძველი ქარხნების და ფაბრიკების მეორეული ათვისება და მის საფუძველზე ახლის შექმნა თანამედროვეობის ერთ ერთ აქტუალურ მიმართულებას წარმოადგენს.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ დღეს სამრეწველო არქიტექტურა ვერ ქმნის ისეთ კულტურულ გარემოს რის პოტენციალსაც ფლობს. ტრანსფორმაცია ხელს უწყობს ფუნქციადაკარგული ქარხნებისა და ფაბრიკების ინტეგრაციას საქალაქო სტრუქტურაში, არ იყოს იზოლირებული და აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამრეწველო შენობა - ნაგებობების ტრანსფორმაციისათვის, დამახასიათებელია თავისუფალი ექპერიმენტი, უკიდუგანო ფანტაზია, კონცეპტუალური იდეები, დემოკრატიული კოსმოპოლიტიზმი ანუ გლობალიზმი. ქარხნებისა და ფაბრიკების ტერიტორიების და მათი არქიტექტურის გარდასახვა ერთგვარი ლაბორატორიაა მსოფლიო არქიტექტურის განვითარებისათვის. გარდასახვის ქართული ნიმუშები მოკრძალებულია, თუმცა მათში ვლინდება ახალი საზოგადოებრივი სივრცეების ორგანიზების კონცეპტუალური გადაწყვეტები, რომელნიც ჩვენი დროის ადეკვატურია და დინამიკურად განვითარებადი.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია: „თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 21 მაისი 2017 წ. გვ.91-106..

#### **4. „რეგიონალიზმი“ და „ინტერნაციონალიზმი“ ტურისტულ - საინფორმაციო ცენტრების არქიტექტურაში (ამერიკის, ჩინეთის და საქართველოს პრაქტიკაზე)**

პროფესორი ნინო იმნაძე

##### ანოტაცია

თანამედროვე არქიტექტურულ პრაქტიკაში გლობალური ტენდენციების განვითარებასთან ერთად დომინირებს რეგიონალური იდენტობის ტენდენციები. თავად თემა „რეგიონალიზმი არქიტექტურაში“ გაშლილია პროფესიონალების მიერ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნამუშევრებში, რომლის გაგება და გამოვლენა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. აქედან გამომდინარე არქიტექტურული ფორმა, რომელშიც რეგიონის თავისებურებები გლობალური ტენდენციების კონტექსტში იდენტობას გამოავლენს დღემდე აქტუალურ პრობლემად რჩება არქიტექტურულ პრაქტიკაში. თვითოეული ერი უნდა ისწრაფოდეს შეინარჩუნოს თავისი ისტორია, ტრადიცია, კულტურა. არქიტექტურას, როგორც დროის სახეს შეუძლია გახდეს შუამავალი ინსტრუმენტი ინტერნაციონალიზმსა და ტრადიციებს შორის დიალოგში.

თემის მიზნიდან გამომდინარე ჩვენს მიერ გაანალიზებულია რეგიონალური მიდგომა ერთ და იგივე ფუნქციის, სამი ობიექტის არქიტექტურის მაგალითზე. ტურისტული - საინფორმაციო ცენტრები ამერიკაში, შტატი კალიფორნია ე. წ. კანიონი „წითელი კლდე“ (არქ. სტუდია ხაზი და სივრცე, 2011 წ.) ტიბეთში ნამჩაბაუს რეგიონში სოფელ პაი ტაუნში (არქ. სტუდია სტანდარტარქიტექტურ, 2008 წ.) და საქართველოში, იმერეთის სოფელ გორდში (არქიტექტორი ვერ მოვიძიეთ. 2013 წ.)

„რედ როკ“ კანიონი მდებარეობს კალიფორნიის შტატში, უდაბნოში და წარმოადგენს სხვადასხვა ფერის (ძირითადად წითელი და მწვანე) მთათა სისტემას. იგი წარმოადგენს უნიკალურ ბუნებრივ ძეგლს. კანიონის კლდე გადაჭიმულია რამოდენიმე კილომეტრზე. ამ ადგილზე 1963 წელს გაიხსნა პარკი. 2011 წელს არქიტექტურულმა კომპანიამ „ხაზი და სივრცე“ (Line and Space) რეკონსტრუქცია ჩაუტარეს ამ ადგილას ადრე არსებულ ვიზიტორთა ცენტრის ნაგებობას - Red Rock Canyon Visitor Center. არსებული ვიზიტორთა ცენტრი აშენდა 1982 წელს. ახალი ნაგებობის არქიტექტურა რამდენადმე განსხვავდება ტრადიციულ ვიზიტორთა ცენტრებისგან. იგი ხასიათდება მთელი რიგი სპეციფიური ნიშნებით - მისი ურთიერთობით გარემოსთან და საზოგადოებრივი სივრცის ორგანიზების ახლებური ინტერპრეტაციით. ნაგებობა მგრძობიარეა გარემოს მიმართ, ინტეგრირებულია ლანდშაფტში და მისი შთაგონებით და იმიტაციით ქმნის თავისებურ ორგანულ არქიტექტურას. მდგრადი არქიტექტურის პრინციპებზე დაყრდნობით ავტორებმა შექმნეს კომფორტული სივრცე ე.წ. ოაზისი უდაბნოში.

ტიბეთი. ნამჩენბავას ვიზიტორთა ცენტრი - Namchabawa Visitor center 2008 წ. არქიტექტურული კომპანია სტანდარტარქიტექტურამ (Architects: Standardarchitecture) დააპროექტა ტიბეტურ სოფელ პაი ტაუნში.

ნაგებობა ტრადიციული ტიბეტური არქიტექტურის თანამედროვე ინტერპრეტაციის მაგალითია. ტიბეტური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი საკმაოდ შთამბეჭდავი, მონოლითური და გარემო პეიზაჟთან ორგანულად შერწყმული მძიმე ქვის კედლების სისტემა

და ბრტყელი გადახურვა, ინტერიერის სწორხაზოვნება, რომელიც ხის სვეტების და კოჭების სისტემისგან შესდგება, ეგზოტიკური ტიბეტურ - ბუდისტური კულტურის გაგრძელებაა და ადგილის იდენტობას გადმოსცემს.

ტიბეტური ტრადიციული არქიტექტურის თანამედროვე ინტერპრეტაციას წარმოადგენს ვიზიტორთა ცენტრი მდინარე ნიაიანგის მდინარეზე. ამ ნაგებობის მტავარი კონცეფციაა ურთიერთობა ერთი შეხედვით ჩაკეტილ შენობასა და მის გარემოს შორის. არარეგულარული ფორმის შიგა სივრცე ყურადღებას იპყრობს თავისი ფერადოვნებით. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ადგილობრივი ქვა. თუმცა, ამ პროექტის ყველაზე საინტერესო დეტალს წარმოადგენს ფერთა გამა, რომელიც ტიბეტური ტრადიციული არქიტექტურის მახასიათებელია. თვითოეული ფერი სიმბოლურად აღნიშნავს ბუნების ელემენტებს: ცისფერი - ცას, მწვანე - ჰაერი, წითელი - ცეცხლი, თეთრი - წყალს, ყვითელი - ქარს. (არქიტექტორი ჩინელი YangZhao)

ანალიზით მივედით შემდეგ დასკვნამდე: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ განხილული ობიექტები ერთმანეთისგან განსხვავდება, მათ საფუძვლად უდევთ საერთო პრინციპი, რომელსაც ჩვენ მივაკუთვნებთ რეგიონალურს. ინტერნაციონალური ტენდენციების ადაპტაცია, ისტორიული მემკვიდრეობის პრიორიტეტული შენარჩუნებით და განსაკუთრებული ყურადღება „ადამიანური მამტაბის“ და კონტექსტის მიმართ. აღნიშნულ ობიექტებში შეიქმნა ახალი რეგიონალიზმი არა როგორც სტილი, არამედ შეგრძნებების გამა, რომელიც ორგანულად დაკავშირებულია კონკრეტულ ადგილთან, მათი არქიტექტურა ხასიათდება ლაკონიზმით, ზოგ შემთხვევაში შთაგონების წყაროს ინდუსტრიული ფორმა წარმოადგენს, ტრადიციული სივრცულ - მოცულობითი გადაწყვეტების გამოყენება, ფასადის პლასტიკის და პროპორციების ტრადიციული გადაწყვეტების ინტერპრეტაცია, ისტორიული სახეების და ორნამენტების შემოქმედებითი გააზრება, ტრადიციული ფერთა გამის გამოყენება გარემოსთან ურთიერთობისთვის, ცოცხალი ბუნების კომპონენტების ჩანერგვა შენობის სტრუქტურაში, ადგილის უნიკალური სილუეტის აღქმა და ადგილობრივი ბუნების შთაგონებით ბუნების იმიტაცია, ნაციონალური იდენტობის ასახვა და „ადგილის სულის“ კონცეფციის რეალიზება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი  
ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია  
ამერიკისმცოდნეობის XVIII საერთაშორისო კონფერენცია

## **5. ტრადიციის პრობლემა პოსტფუნქციონალიზმის პერიოდში**

პროფესორი ვ. დავითაია დოქტორანტი ა. ბიბილაშვილი  
რეზიუმე

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, „ფუნქციონალიზმი“, („ახალი არქიტექტურა“, „მოდერნიზმი“), რომელიც ერთპიროვნულად მართავდა მსოფლიოს არქიტექტურას და ორმოცი წლის მანძილზე შეძლო სამყაროს არქიტექტურული ერთფეროვნების შექმნა, კარგავს თავის ძლევამოსილებას და იწყებს არსებობის გახანგრძლივების გზების ძიებას. თუ საწყის პერიოდში ფუნქციონალიზმი კონცეპტუალურად უარყოფდა ტრადიციას, ისტორიას, წვავდა

ხიდებს წარსულისკენ, ხდება უფრო შემრიგებლური და თავის წიაღში კარს უხსნის რეგიონალურ ფაქტორებს. გამოიკვეთა კონცეპტუალური მიდგომა ტრადიციისადმი. ის პრინციპულად განსხვავებული იყო წინა საუკუნის მიდგომებისაგან, როდესაც „ეროვნულობა“ მატერიალური კულტურის ძეგლის ინტერპრეტირება - პერეფრაზს ემყარებოდა. წარმოჩნდა არამატერიალური კულტურის პრიმატი - ერის მენტალობა, ტრადიციები, „ადგილის სული“, განწყობილება, ლეგენდა, პოეზია, ხალხური შემოქმედება, დეკორატიული ხელოვნება, ფოლკლორი და სხვა. ასეთი იყო ზოგადი ტენდენცია, რომელიც განსხვავებული სახით ვლინდებოდა ცალკეულ ქვეყნებში.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 21 მაისი 2017 წ.

## **6. სტივენ ჰოლის ფენომენოლოგიური არქიტექტურა**

ასოც. პროფესორი მ.დავითაია

### **რეზიუმე**

არქიტექტორის, თეორეტიკოსის და მხატვრის სტივენ ჰოლის არქიტექტურას ხშირად „ფენომენოლოგიურს“ უწოდებენ. ეს არის არქიტექტურა, რომელიც სივრცეში ადამიანის მოძრაობას და მრავალშრიან ექსპერიმენტში მის ჩადირვას ითვალისწინებს, სადაც სივრცე, სინათლე, ფერი, გეომეტრია, სურნელი, ბგერა, ზედაპირები და მასალა გადაიკვეთება. იდეის რეალიზაცია და მისი გააზრება არქიტექტურის განცდაში მდგომარეობს, რასაც შენ გრძნობ შენობის გავლისას, როგორ მოძრაობს სხეული, როგორ ურთიერთქმედებს სხვა სხეულებთან, როგორ მუშაობს სინათლე, პერსპექტივა, ხაზები, ხმები, სუნი. სტატიაში განხილულია ფილოსოფოსის მ.მერლო პონტის ფენომენოლოგიური იდეები, რომლებიც საფუძვლად დაედო სტივენ ჰოლის არქიტექტურულ კონცეფციებს. სტატიაში წარმოდგენილია კავშირი არქიტექტურასა და გრძნობებს შორის ანუ პროექტირების ფენომენოლოგიური საფუძველი, ფენომენოლოგიური პრინციპები, რომლებიც თავს იყრის მის ნამუშევრებში.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

## **7. საცხოვრებელი სახლების დაპროექტების ნორმების შესაქმნელად**

პროფესორი ნ. თევზაძე, ასოცირებული პროფესორი ქ. ბერეკაშვილი

### **რეზიუმე**

სტატიაში დასმულია საცხოვრებელი სახლების დაპროექტების ნორმების შექმნის საკითხი, რაც მჭიდრო კავშირში იმყოფება საქართველოს დამოუკიდებლობასა და არქიტექტურის ეროვნულობასთან.

წარმოდგენილია უნიკალური ქართული ეროვნულ ტრადიციების საფუძველზე დაყრდნობით საცხოვრებელი სახლების და კომპლექსების, კეთილმოწყობის ანალიზი მათი განზოგადება, მახასიათებლების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება შემდგომი პერსპექტიული მშენებლობისთვის.

ამ თვალსაზრისით დღევანდელ ეტაპზე შესწავლილია საცხოვრისის სახეობა „ოდა სახლი“, სადაც ყველა მისი შემადგენელი კომპონენტი დეტალურად არის განხილული. ასევე სრულყოფილად წარმოდგენილია რეკომენდაციები მონაცემთა ბანკის შესაქმნელად.

შეთავაზებულია პრობლემაზე მუშაობის მეთოდის, რაც გულისხმობს დაინტერესებული ექსპერტების გაერთიანებას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალის გარშემო.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია: „თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

#### **8. ქ. თბილისის ვაკის რაიონში არსებული კვარტალური განაშენიანების შიგა სივრცეების განახლება რეაბილიტაციის-საპროექტო წინადადებები**

პროფესორი თ. მახარაშვილი

##### ანოტაცია

სტატიაში განხილულია თბილისის ვაკისა და ვერის რაიონებში არსებული ბაღ-პარკების ექსპანსიის შედეგები. მოცემულია ვაკის კვარტალური განაშენიანების შიგა ეზოების აღდგენა-რეაბილიტაციის პრინციპები, მეთოდი და კონკრეტული მაგალითები.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია: „თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

#### **9. „თბილისის საბჭოთა პერიოდის 50-70-იანი წლების საცხოვრებელი მასივების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის ძირითადი პრინციპები“**

პროფესორი თ. მახარაშვილი, დოქტორანტი გ. ხოფერია

##### ანოტაცია

სტატიაში განხილულია თბილისში, მეოცე საუკუნის 50-70 წლებში აშენებული მსხვილი საცხოვრებელი მასივების ძირითადი მაჩვენებლები (აშენების წლები, ტერიტორიის ფართი, მოსახლეობის რაოდენობა, საცხოვრებელი ფონდის სიმჭიდროვე და ა.შ.) და შემუშავებული მათი რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის ზოგიერთი პრინციპები.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

**10. მთის კუკურორტების პრობლემები საქართველოში (აჭარის რეგიონის მაგალითზე)**

ასოცირებული პროფესორი მ. მელქაძე

ანოტაცია

სტატიის მიზანია ჩამოყალიბდეს საქართველოს კურორტების, კერძოდ, ზემო აჭარის კურორტების სხვადასხვა პრობლემა.

მთიანი აჭარა შედგება რამდენიმე ნაწილისაგან, ჩვენი განხილვის სივრცეა ქედასა და ხულოს მუნიციპალიტეტები.

განხილვის ვექტორებია: 1, არჩეული ტერიტორიის ზოგადი მიმოხილვა; 2, ზონირება და ბიოკლიმატური ანალიზი; 3, ტურიზმის სახეობების ჩამონათვალი; 4, მიმდინარე პრობლემების დაფიქსირება; 5, დასკვნა და რეკომენდაციები.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

**11. „რეგიონალიზმის ძიებები საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტური საპროექტო ბიუროს მაგალითზე“**

მასწავლებელი თ. ნაცვლიშვილი,

ანოტაცია

თემა „რეგიონალიზმის ძიებები საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტური საპროექტო ბიუროს მაგალითზე“ ეხება რეგიონალიზმის პრობლემას. რეგიონალიზმი არ არის არქიტექტურული სტილი, არამედ შეხედულებაა, პოზიციაა, ის დროსა და სივრცეში ცვალებადია. რეგიონალიზმი ეს წვდომაა საკუთარ კულტურისა და ეროვნული მენტალობის სამყაროში, რეგიონალიზმი ეს ქვეყნის, საკუთარი ხალხის საუკუნეობრივი გამოცდილების ახლებური გააზრებაა, ამდენად მუდმივად ახალი მხატვრულ-ესთეტიკური მუხტის მატარებელი. თემაში განხილულია პროექტები და რეალიზაციები, რომლებიც შეიქმნა სპი-ს არქიტექტურული ფაკულტეტის საპროექტო ბიუროში. 1970-1990 წლებში სტუდენტური საპროექტო ბიურო გახდა სტუდენტებისთვის, ახალგაზრდა არქიტექტორებისთვის და პროფესორ-მასწავლებლების შემოქმედებითი მოღვაწეობის ასპარეზი. საპროექტო ბიუროში შექმნილი პროექტებისა და რეალიზაციებში ჩანს შემოქმედებითი კოლექტივის მკაფიო, ორიგინალური ხედვა.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

### **12. “საზოგადოებრივი ცნობიერების ეკოლოგიზაცია”**

პროფესორი გ. სალუქვაძე

ანოტაცია

რეალობა გვჩვენებს, რომ ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ არ შეიცვალა ბუნების მიმართ ტრადიციული დამოკიდებულებების ნორმები და ზნეობრივი პრინციპები, კერძოდ თუ არ ამალდება თითოეული ადამიანის სოციალური პასუხისმგებლობა ბუნებაზე მისი ზემოქმედების შედეგად გამოწვეულ საქმიანობაზე, ანუ წინა პლანზე უნდა წამოვიწიოთ საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერებისა და კულტურის დონის ამაღლება.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

### **13. “ფრაქტალური სტრუქტურები ქალაქგეგმარებაში”**

არქიტ. აკადემიური დოქტორი თ. ტაბატაძე

ანოტაცია

ნებისმიერი განაშენიანების ურბანული ქსოვილი თავისი სისტემური იერარქიულობის გამო ფრაქტალურ სტრუქტურას წარმოადგენს. „სასურველი“ რეგულარული წყობისა და სხვადასხვა ხასიათის ქაოტური ზემოქმედების შედეგად ყალიბდება რეალური ქალაქები, აგლომერაციები თუ უფრო მცირე განსახლების ობიექტები. ფრაქტალური ხედვა და ქაოსის თეორია თანამედროვე კვლევისა და პროგნოზირების ახლებურ ინსტრუმენტად გვევლინება.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

### **14. „მოცულობითი არქიტექტურული გრაფიკა, როგორც არქიტექტურული პროექტირების მეთოდი“.**

პროფესორი ზ. ტიტვინიძე

ანოტაცია

სტატიაში განხილულია სივრცითი აზროვნების და მისი ძირითადი მექანიზმის, წარმოსახვითი ქმედების როლი არქიტექტურული პროექტირების შემოქმედებით პროცესში ზოგადად და უმაღლესი არქიტექტურული განათლების სასწავლო პროცესში კონკრეტულად.

ქართული არქიტექტურული ტერმინოლოგიის მოწესრიგების მიზნით, პირველად არქიტექტურული პროდუქტის ვიზუალიზაციის ინსტრუმენტი, „არქიტექტურული გრაფიკა“, დიფერენცირებულია სიბრტყით და მოცულობით შემადგენლებად.



ჩამოყალიბებულია და განმარტებულია „მოდელირების“ და „მოდელის“, „მაკეტირების“ და „მაკეტის“ განსაზღვრება. არგუმენტირებულია „პლასტიკური არქიტექტურული მოდელებების“ მეთოდით წარმოსახვით-სივრცითი არქიტექტურული სახეების ვიზუალიზაციის უპირატესობა ხაზოვან არქიტექტურულ გრაფიკასთან შედარებით.

გამოთქმულია აზრი, რომ პლასტიკური არქიტექტურული მოდელები, როგორც არქიტექტურული გრაფიკის შემადგენელი ნაწილი, წარმოადგენს არქიტექტურული სპეციალობის ერთ-ერთ წამყვან, სავალდებულო დისციპლინას, და რომ დამოკიდებულება ამ საგნისადმი, ძირითადად უნდა შეიცვალოს სწავლების როლისა და მასშტაბის გაზრდის თვალსაზრისით.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია: „თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

### **15. დაავადებული შენობების სინდრომის შესახებ**

აკადემიკოსი ა.ფრანგიშვილი, პროფესორი გ. სალუქვაძე, დოქტორანტი ლ. პირველი ანოტაცია

ხშირად ვლასპარაკობთ ჩვენს გარშემო მყოფ არასასურველ გარემოზე, რადგან მიგვაჩნია რომ გარემოს დაბინძურების ძირითადი საშიშროება მოდის ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ნიადაგის, კვების პროდუქტების დაბინძურებიდან. ამ დროს მხედველობიდან არ უნდა გამოვგვრჩეს ის გარემოება, რომ ადამიანი თავისი დროის უმეტეს ნაწილს, სწორედ დახურულ სივრცეში ატარებს. ის, თუ როგორ ეკოლოგიურ გარემოში უწევს მას ცხოვრება, როგორია სივრცის ეკოლოგიური სისტემა, განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას. რა ხდება ამ მხრივ ჩვენთან? - სამწუხაროდ ეს საკითხი ჯერ-ჯერობით შეუსწავლელია და თანაც იმ ფონზე, როდესაც დღევანდელი ჩვენი სახელმწიფოს ბაზარი გაჯერებულია რისკის შემცველი არაეკოლოგიური მასალებით, რომ არაფერი ვთქვათ მშენებლობის კატეგორიაზე, ექსპლუატაციის დონეზე, არაჯანსაღ გეგმარებაზე და ა.შ.

წინამდებარე სტატია „დაავადებული შენობების სინდრომის შესახებ“ სწორედ თანამედროვეობის ამ მნიშვნელოვან პრობლემას ეძღვნება.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია: „თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

### **16. საქართველოს სივრცითი მოწყობის-განსახლების პირველი რეგიონალური სქემა 1979**

არქიტექტორი ვ.ფრანგიშვილი

ანოტაცია

ქვეყნის სივრცითი მოწყობის პირველი დოკუმენტი - საქართველოს განსახლების რეგიონული სქემა დამუშავდა ს. ი. „საქქალაქმშენსახპროექტში“ 1979 წელს. ქართული საზოგადოებისთვის აღნიშნული სქემა უცნობია სხვადაცხვა მიზეზის გამო. სტატიაში

გამუქებულია საქართველოს განსახლების სქემის თანაავტორის მიერ წარმოდგენილი ძირითადი დებულებების ანალიზი, რაც შეიძლება ჩაითვალოს ნაშრომის შედეგად.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

## **17. ჩამხუსის ტეტრაკონქი** (არქიტექტორის გეომეტრიული აზროვნება)

პროფესორი გ. ყიფიანი

### ანოტაცია

ძეგლი მდებარეობს ტაო-ოლთისის რეგიონში, ბანას ცნობილი ტეტრაკონქის სიახლოვეს. ძეგლი მხოლოდ პირობითადაა დათარიღებული VIII-IX სს-ით და იგი მხოლოდ გეგმის დონეზე იკითხება, ზოგი მკვლევარი მასთან პარალელს მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლებთან ავლებს. ეს მართლაც ასეა ზოგიერთი ნიშნით და ჯვრის ტაძარს უახლოვდება სივრცის დიაგონალური განვითარებით და გეგმის „ფერწერულობით“.

მისი გარშემოწერილობა, დიდ თუ მცირე, 32 წახნაგს ფლობს, ანუ წრის 4,8,16 და ა.შ. დანაწევრების სისტემას. თუ საქართველოში გავრცელებულ მცხეთის ჯვრის ტაძრებს გადავავლებთ თვალს, ნათელი ხდება, რომ მისი საწყისი გრაფიკა - თავისუფალი ჯვარი დიაგონალური განვითარებით, ყველგან შენარჩუნებულია საწყისი სქემით, ანუ მისი ვარდულისებური ასახულობით, განსხვავებით სომხური, ერთი შეხედვით, ამავე ტიპის ნაგებობებისაგან, სადაც ყველა მათგანი უგამონაკლისოდ მკაცრადაა სწორკუთხედში ჩაწერილი. მაგრამ განსხვავებანიც მრავლადაა ასახული: ჩამხუსის ტეტრაკონქის ამოსავალი გეომეტრიული სახე კვადრატია (და არა სწორკუთხედი, გვერდების შეფარდებით 3:4, როგორც ჯვრისა და რიფსიმეს ტაძრებშია დადასტურებული) და ჯვრისებური გეგმა ვითარდება ჯერ ექსედრებით და შემდეგ ექსკვუთხა კომპარტიმენტებით. ეს განვითარება მკაცრად დიაგონალურია, განსხვავებით ჯვრის ტიპის ტაძრებისაგან, სადაც „სვასტიკა“ აშკარად შეიმჩნევა. ასევე გუმბათი აქ თითქმის ყოვლისმომცველია და იმდენად, რომ მან ბემაც კი მოსპო აბსიდების წინ. მისი გარეგნული ასახულობა, რომელიც შეიძლება მხოლოდ წარმოვიდგინოთ, მთლიანად პასუხობს სივრცეს და მის დანაწევრებას.

ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ აქ სივრცისათვის არქიტექტორი იყენებს ფარგლის გეომეტრიის პრინციპს, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო გვიანანტიკური ე. წ. იმპერატორ ჰადრიანეს არქიტექტურული სტილია. ამასთანავე არქიტექტორი ფლობს კვადრატის შიგა, დიაგონალური განვითარების სქემას დინამიკურ სწორკუთხედებად და გარე მასებს მათთვის დამახასიათებელი პროპორციული სისტემებით ქმნის.

თარიღზე ძეგლის დეტალური შესწავლის გარეშე არაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ ჩამოთვლილი ნიშნები იმას მიანიშნებს, რომ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული გვიანანტიკური ხანის ხუროთმოძღვრებასთან, უნდა გავითვალისწინოთ მისი სამი მხრიდან ფართე აფსიდალური კარიბჭეებიც.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

**18. ლისაბონისა და თბილისის ორი ისტორიული უბნის შედარებითი ანალიზი (ბაირუ-ალტუ, სოლოლაკი)**

ასოცირებული პროფესორი მ. ძიძიგური

ანოტაცია

სტატიაში ლისაბონისა და თბილისის ორი ისტორიული უბნის ბაირუ-ალტუსა და სოლოლაკის შედარებითი ანალიზია წარმოდგენილი მათი სიცოცხლისუნარიანობის, ფუნქციონირებისა და თანამედროვე ქალაქში ინტეგრაციის თვალსაზრისით. ანალიზი ეფუძნება თითოეული უბნის ისტორიის, ქალაქგეგმარების, განაშენიანების, პრობლემების განხილვას. საბოლოოდ წარმოდგენილია სათანადო დასკვნები.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

**19. ა. პუშკინის ქუჩის რეაბილიტაციის შედეგების ანალიზი**

ასოცირებული პროფესორი მ. ძიძიგური, დოქტორანტი მ. მასხი

ანოტაცია

თბილისის ისტორიულ უბნებში, ბოლო წლების განმავლობაში მომრავლებული ახალმშენებლობისა თუ ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ფონზე, აქტუალური გახდა ძველი უბნების თვითმყოფადობის, ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების დაცვის საკითხი.

ამ თვალსაზრისით სტატიაში განხილულია ა. პუშკინის ქუჩისა და თავისუფლების მოედნის ტერიტორიაზე „ფსევდოისტორიული“ სტილების პოსტმოდერნისტული განაშენიანების მასშტაბის შესაბამისობა გარემოსთან, მისი დადებითი და უარყოფითი გავლენა ისტორიული უბნის სივრცით-მოცულობით და არქიტექტურულ – მხატვრულ ღირებულებებზე.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია:“თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

**20. არქიტექტურული პროპედევტიკა და კომპიუტერული ტექნოლოგიები**

ასოც. პროფესორი თ. ჩიგოგიძე, არქიტექტორი ზ. ყარალაშვილი

## ანოტაცია

არქიტექტურა აერთიანებს ხელოვნებას, მეცნიერებას და ტექნიკას, რომლებიც აკუმულირდება არქიტექტურულ ნაწარმოებში. თუ ადრე არქიტექტურული ნაწარმოები მხატვრული და სამეცნიერო შემოქმედების ნაზავს წარმოადგენდა, ახლა დადგა პროექტირების უნივერსალური ტექნოლოგიების ერა, საყოველთაო კომპიუტერიზაციის ბაზაზე. არქიტექტურული ინფორმატიკის სულ უფრო და უფრო სწრაფმა და ინტენსიურმა შეჭრამ პროექტირების ყველა სფეროში დაგვარწმუნა, რომ საჭიროა ობიექტების მშენებლობისა და პროექტირების პროცესებში არქიტექტორის როლის შეცვლა და ახლებული გააზრება, და შესაბამისად - არქიტექტურული სკოლის საქმიანობის სრულყოფა ცხოვრებისეული რეალობისა და ტენდენციების ცვლილებების გათვალისწინებით.

CAD საპროექტო სისტემების განვითარება ითვალისწინებს მათემატიკური ინსტრუმენტების გამოყენებით არქიტექტურული ფორმების ორ და სამგანზომილებიანი გეომეტრიით აღწერასა და ოპერირებას, მაგრამ პრობლემა მდგომარეობს არქიტექტურული ფენომენის არსის თვისებათა ფორმალიზაციის საკითხების გადაწყვეტაში. დღეს არქიტექტურული ინფორმატიკა არ ცვლის არქიტექტორს, იგი მხოლოდ არქიტექტურული ობიექტების მოდელირების ძლიერი ინსტრუმენტია. ახალი სასწავლო პროგრამები ხელს უნდა უწყობდეს ისეთი მეთოდის დანერგვას, რომელიც მოიცავს კომპლექსურ მიდგომასა და ინფორმაციულ მოდელირებას, მაგალითად ისეთის, როგორცაა სპეციალიზებული ინფორმაციული მოდელირების სისტემა (BIM) Revit Architecture, რომელიც არქიტექტორებს შენობათა პროექტირების ინტუიტიურად გასაგებ, მძლავრ საშუალებას სთავაზობს.

CAD და BIM სისტემები არ განიხილება როგორც მხოლოდ გრაფიკული საშუალებები, ისინი პროექტირების ორგანიზაციის, ოპტიმიზაციის, ტესტირებისა და მართვის უმძლავრესი თანამედროვე ინსტრუმენტარია.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია: “თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

### **21. პოლიცენტრიზმი, როგორც თბილისის მიწათსარგებლობის**

#### **გენერალური გეგმის დოქტრინა.**

პროფესორი გ. შაიშმელაშვილი

## ანოტაცია

განიხილება ურბანული განვითარების თანამედროვე ეტაპზე თბილისის ქალაქგანვითარების მონოცენტრული მოდელიდან პოლიცენტრიზმზე გადასვლის აქტუალური საკითხი. ჭარბი სატრანსპორტო და სოციალური დატვირთვების ისტორიულ ცენტრში კონცენტრირება, როგორც თბილისის მონოცენტრული განვითარების უკიდურესი ნეგატიური გამოვლინება განაპირობებს დისბალანსს ცენტრსა და პერიფერიას შორის.

შექმნილ ვითარებაში, მონოცენტრიზმის არსებულმა მოდელმა ისტორიული ცენტრის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის განადგურების ინსტრუმენტის მნიშვნელობას იძენს.

თბილისის ურბანული პოლიტიკის პრიორიტეტებად უნდა იქცეს თბილისის ცენტრის გარეთ, თბილისსა და თბილისის აგლომერაციაში ახალი ინოვაციური მაღალტექნოლოგიური ბიზნეს კლასტერების შექმნა. ასეთი კლასტერების ფორმირება განაპირობებს, ერთის მხრივ, დედაქალაქის ისტორიული ცენტრის სატრანსპორტო ნაკადებისაგან მნიშვნელოვან განტვირთვას, მეორეს მხრივ, უზრუნველყოფს ქალაქის პერიფერიის მაცხოვრებელთა ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია: “თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

## **22. პოსტსაბჭოთა სამრეწველო ტერიტორიების და შენობა-ნაგებობების რაციონალური გამოყენების საკითხები**

ასოც. პროფესორი, გ. ცხოვრებაშვილი, ასოც. პროფესორი გ. ნაცვლიშვილი  
ანოტაცია

ქალაქების და სასოფლო-სამეურნეო მიწების რაციონალური გამოყენების საკითხები წლითი-წლობით სულ უფრო აქტუალური ხდება. პრობლემის გადაწყვეტა ძირითადად დაკავშირებულია წარსულში უკვე ათვისებული და განაშენიანებული სამრეწველო ტერიტორიების უფრო რაციონალურ გამოყენებასთან.

ყოფილი სამრეწველო ობიექტების უდიდესმა ნაწილმა არსებობა შეწყვიტა, შენობა-ნაგებობები უფუნქციოდ დარჩა, ისინი იძარცვება და იშლება. ამავე დროს ხდება მცირე ტერიტორიების უკონტროლო გასხვისება ცალკეულ ინვესტორებზე და ყოფილი სამრეწველო ტერიტორიების უდიდესი ნაწილი უფუნქციოდ რჩება, განიცდის დეგრადაციას. ცალკეული საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად ხდება ახალი სასოფლო-სამეურნეო და ქალაქის ძვირფასი ტერიტორიების ათვისება. ამ მიზნით უფრო რაციონალური იქნებოდა არსებული, უმოქმედო, ყოფილი სამრეწველო შენობა-ნაგებობების გამოყენება.

სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები ამ პრობლემების რაციონალური გადაწყვეტისათვის. კერძოდ: გამარცვული შენობების და ტერიტორიების შესწავლით, შემდგომში შესაბამისი კატალოგის შექმნით პოტენციური ინვესტიციებისათვის.

მთელ მსოფლიოში სამრეწველო ტერიტორიების და ობიექტების რეაბილიტაცია მიმდინარეობს ტექნიკური გადაიარაღების მიმართულებით, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. მათი საცხოვრებელ, საზოგადოებრივ-კულტურულ, სასაწყობე თუ საქმიან სივრცეებად გარდაქმნის მიმართულებით, მაგრამ, პირველ რიგში, აქტუალურია მათი გამოყენება თანამედროვე სამრეწველო ობიექტების განსათავსებლად.

სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია: “თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #7; 2017 წ. თბილისი, მ. კოსტავას 77

### **23. ბიოკლიმატური პრინციპები თანამედროვე არქიტექტურაში**

#### **– ამერიკული გამოცდილება**

ასოცირებული პროფესორი მ. ჯავახიშვილი, ასისტენტ პროფესორი ბ. თინიკაშვილი

ანოტაცია

ბიოკლიმატური არქიტექტურის ძირითადი ამოცანაა ადამიანისთვის ისეთი კომფორტული გარემოს შექმნა, სადაც მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნება ბუნებრივი ფაქტორები. საპროექტო მეთოდოლოგიის თვალთახედვით ბიოკლიმატური მიდგომა განსაზღვრულია, როგორც სახლის დაპროექტების კრიტერიუმის წყარო. ადგილი, გარემო და ორიენტაცია განსაზღვრავს თუ როგორ უზრუნველყოფს უკეთესი დაცვა და ბუნებრივი პირობების (მზის, ქარის და სითბოს წყაროების) გამოყენება.

განხილულია ბიოკლიმატური საცხოვრებელი სახლები ყველა ხელმისაწვდომი ტექნოლოგიებისა და ეკო-არქიტექტურის პრინციპების გამოყენებით ამერიკელი არქიტექტორების პრაქტიკიდან (ფ.ლ. რაიტი, ლუის კანი, ლ. ხელპრინი და სხვა).

თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები მიისწრაფვიან ფართო მოხმარებისკენ ნებისმიერ გარემოში. მათი გამოყენების ინტენსიურობა განისაზღვრება ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორებით და ობიექტის მოცულობით-სივრცული კომპოზიციით. შენობის ტექნოლოგიური საშუალებები უზრუნველყოფს მის ენერგოეფექტურობის პრობლემის წარმატებით გადაწყვეტას. მზის და ქარის დანადგარების მარგი ქმედების კოეფიციენტის ეფექტურობისთვის, აუცილებელია შენობისა და მისი მიმდებარე გარემოს დაპროექტებისას ბიოკლიმატური პრინციპების საფუძვლების

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი

ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია

ამერიკისმცოდნეობის XVIII საერთაშორისო კონფერენცია

### **24. მდგრადი ავეჯის დიზაინი - როგორც ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნების ფაქტორი (ამერიკული გამოცდილება)**

ასოცირებული პროფესორი ნ. ქოჩლაძე

ანოტაცია

"გარემოსადმი პასუხისმგებელ დიზაინში" იგულისხმება მდგრადი დიზაინი და მწვანე დიზაინი. ამ ორ ტერმინს ხშირად მონაცვლეობით ხმარობენ, თუმცა მათ შორის მცირე განსხვავება მაინც არსებობს. მწვანე დიზაინი გულისხმობს დიზაინს, რომელიც ადამიანების ჯანმრთელობას და კეთილდღეობას იცავს, ხოლო მდგრადი დიზაინი ასევე გარემოსა და მსოფლიო ეკოსისტემებს იცავს მომავალი თაობებისთვის. მდგრადი დიზაინი – ეს არის ცალკეული ობიექტების შექმნის, ან გარემოს კომპლექსური აგების ფილოსოფია, რომელიც ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობის პრინციპებზეა დაფუძნებული. მდგრადი განვითარების მანიფესტი მოიცავს ალუდგენელი ბუნებრივი რესურსების გამოყენების აკრძალვას, წარმოებისას გარემოზე მინიმალურ ზეგავლენას, ხაზს უსვამს

ადამიანის და ბუნების უწყვეტ კავშირს. ეს ფილოსოფია ესადაგება როგორც "მიკროკოსმ"-ს – საყოფაცხოვრებო მცირე საგნების პროექტირებას, ასევე "მაკროკოსმ"-ს – მთელი ქალაქების პროექტირებას, ადამიანის საცხოვრებელი გარემოს ფორმირებას, რაც, ასე თუ ისე, დედამიწის ბუნებრივ ლანდშაფტს ცვლის. მდგრადი განვითარების საფუძვლები გამოიყენება დიზაინის ბევრ სფეროში, როგორცაა არქიტექტურა, ლანდშაფტური დაგეგმარება, ქალაქგეგმარება, გრაფიკული დიზაინი, აგრეთვე ინტერიერის და ავეჯის დიზაინში. ამდგრადი ავეჯის შექმნაზე აქტიურად მუშაობენ ამერიკელი დიზაინერული კომპანიები: ურბან ვულდს, ვერმონტ ვულდ სტუდიოს, ეკოვეტ, ურბანგრინ, სუსთეინებლ ფარნიჩარ ინქ, მანჩესტერ ვულდ, ფანჩერჩეარ და სხვა.

ორგანიზაცია LEED-ის (Leadership in Energy and Environmental Design) მოთხოვნების მიხედვით, მდგრადი მასალები, ეს არის მასალები, რომლებიც სწრაფად განახლებადი რესურსებიდან მზადდება, არის ძალზე გამძლე, გადამუშავებას ექვემდებარება და მცირე რაოდენობით მავნე ნივთიერებებს გამოყოფს. განახლებადი რესურსები და პროდუქცია ან ხელოვნურადაა გამოზრდილი ან ბუნებრივ პირობებში იმდენი იზრდება, რომ მისი განადგურების საშიშროება არ არსებობს. მასალის არჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც გარემოსადმი მდგრადობა, ასევე ეკონომიკური (ფასი, ხელმისაწვდომობა) და სოციალური (თერმული კომ-ფორტი, სიმყარე, გამძლეობა) ასპექტები.

გარემოსადმი პასუხისმგებელ დიზაინს ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა ჰარმონიაში მოჰყავს, ამ ურთიერთობაში ადამიანის პასუხისმგებლობის დონეს უფრო მაღლა წევს და ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნების აუცილებელი ფაქტორია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი  
ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია  
ამერიკისმცოდნეობის XVIII საერთაშორისო კონფერენცია

**25. აუტიზმისა და აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანის განწყობის მართვის პრინციპები გარემოს დიზაინის საშუალებით (ფერი, განათება, ინტერიერი, ექსტერიერი, აკუსტიკა, ავეჯი, გეგმარება.)**

ასოცირებული პროფესორი მარიკა ფოჩხუა;

**ანოტაცია**

2007 წლის 18 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2 აპრილი აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღედ გამოაცხადა. ამ დღის აღნიშვნას აუტიზმის მზარდი სტატისტიკა განაპირობებს, რაც მსოფლიოს მასშტაბით ათობით მილიონ შემთხვევას უტოლდება. არსებული სტატისტიკის მიხედვით აუტიზმი მსოფლიოში 100-დან 1 ადამიანს აქვს. ამასთან, აუტიზმი 4-5-ჯერ უფრო ხშირია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში.

ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მონაცემებით, 2012 წლისთვის აუტიზმის სპექტრის დარღვევის სიხშირემ 88 ბავშვში 1-ს

მიადწია, აქედან ბიჭებში ეს მდგომარეობა 5-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება გოგონებთან შედარებით. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს აუტიზმის გავრცელების ზუსტი მაჩვენებლები. ერთადერთი კვლევა, რომელიც აუტიზმის გავრცელების მიახლოებით სურათს იძლევა, 2007-2009 წლებში ჩატარდა ბავშვთა ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციის მიერ. რომლის მიხედვით, ყოველ 110 ბავშვზე 1-ს აუტიზმი ან აუტიზმის სპექტრის დარღვევა აღენიშნება, რაც ბავშვთა პოპულაციაში სულ მცირე აუტიზმის 7000 შემთხვევას ნიშნავს.

თუ სტატისტიკურ მომაცემებს გავითვალისწინებთ საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე აუტიზმის მქონე პირთა გარემოში ადაფტაციის საკითხები მეტად მნიშვნელოვანია. რომელთა ფართო სპექტრში მათზე მორგებული გარემოს დაგეგმარება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

უკვე დიდი ხანია რაც აღნიშნულმა პრობლემატიკამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საერთაშორისო საზოგადოების, განსაკუთრებით კი ამერიკული ყოფიერების დღის წესრიგში. საქართველოში აუტიზმის თუ აუტისტური სპექტრის მქონე პირთა სრულფასოვანი ადაპტაციის საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას. ზარალდებიან არა მხოლოდ კონკრეტული პიროვნებები, არამედ მთელი საზოგადოება, რომელიც მათი სახით დიდ რესურსს კარგავს. ზემოთქმული ცხადჰყოფს, რომ მათი რესურსების გამოყენების თანამედროვე სპეციფიკა ურბანული პოლიტიკის ახლებურ გააზრებას მოითხოვს, რაც თავის მხრივ მშენებლობის, არქიტექტურული საქმიანობის, ქალაქთმშენებლობითი რეგულირების კონტექსტში მოიაზრება.

ჩვენი მიზანია ყურადღება გავამახვილოთ ქართულ რეალობაში ამ კუთხით არსებულ მნიშვნელოვან პრობლემებზე, რომელთა წარმოჩენისა და ამერიკული გამოცდილების, ანალოგების გაანალიზების, შეჯერების ფონზე ტექნიკურ მეცნიერებათა თანამედროვე მიღწევების დახმარებით, შესაძლებელი გახდება გამოინახოს აუტიზმისა თუ აუტისტური სპექტრის მქონე პირთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების უფრო კომფორტული პირობები;

მოხსენებაში აგრეთვე მიმოხილული იქნება აშშ-ში უკვე განხორციელებული არქიტექტურული პროექტები, მათი დადებითი და ნაკლოვანი მხარეები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი  
ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია  
ამერიკისმცოდნეობის XVIII საერთაშორისო კონფერენცია

## **26. მთისა და კურორტების პრობლემატიკა საქართველოში და მათი არსის გამოკვეთა აშშ-ის ანალოგების ფონზე**

ასოცირებული პროფესორი ედეა მელქაძე

ანოტაცია

აშშ-ის ტერიტორიაზე სულ მცირე 300 მთის კურორტია გაბნეული ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე - ახალი ინგლისიდან კალიფორნიამდე.

ამიტომაც, წინამდებარე მოხსენების აქცენტი გვინდა გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნისა და



აშშ-ის იმ რეგიონებზე, სადაც თავს იყრის დასვენებისა და გართობის ორი ფორმა, ზღვისა და კურორტების სახით.

ამ კონტექსტში კი, ჩვენ მოვნიშნავთ კალიფორნიის შტატის ორივე სახის კურორტების სქემას და მათ ფონზე განვიხილავთ საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხის - აჭარის ზღვისა და მთის კურორტების პრობლემებს. რა პრობლემებია ეს?

- არის თუ არა ეს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მახასიათებლები, თუ ამ მოვლენებს აქვს საერთაშორისო ხასიათი?

- ისმის კითხვა.

- რაზე ვსაუბრობთ?

- ბუნებაზე, ცხადია, იმ ხელთუქმნელ გარემოზე, რომელიც არსებობს ჩვენს ირგვლივ და წარმოადგენს ადამიანის სასიცოცხლო სივრცეს, ყველა მისი კომპონენტით.

აქ იკვეთება ბოლო წლების არქიტექტორული აზროვნებისათვის, და არა მარტო, დამახასიათებელი - ჩარჩოს- მდგრადის არქიტექტურის - კონტურები, რაც უხსოვარი დროიდან არის ხუროთმოძღვრების საფუძველი. საფუძველი - ხელთუქმნილი გარემოს- არქიტექტურული სივრცის ჰარმონიზაცია- ხელთუქმნელთან - ბუნებასთან.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი  
ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია  
ამერიკისმცოდნეობის XVIII საერთაშორისო კონფერენცია

## **27. ურბანული პრობლემების შესწავლის საკითხი საგანმანათლებლო-სამეცნიერო ინსტიტუციებში საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით (1997-2002 წლების ავლაზრის სტუდენტური კონკურსის მაგალითზე)**

მაია ჯავახიშვილი, ბელა თინიკაშვილი, ნათია ქოჩლაძე  
ანოტაცია

სწავლების ინტერნაციონალიზაციის ისეთი ასპექტი, როგორცაა საერთაშორისო გამოცდილება, ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან იგი უნივერსიტეტს ახალგაზრდებს იმ ცოდნას და კომპეტენციებს, რომლებიც ყველაზე მეტად მოთხოვნილია დამსაქმებლების მხრიდან: გარემოსთან სწრაფი ადაპტაცია, სიტუაციაში მაქსიმალური ჩართვა, მულტიკულტურულ კოლექტივში მუშაობის გამოცდილება და სხვა.

თანამედროვე სწავლების მეთოდიკა ეფუძნება რეალური აქტუალური ამოცანების გამოყენებას საგანმანათლებლო მიზნებით, ქალაქის გეგმარებისა და მართვის პრაქტიკიდან რეალური სიტუაციების ანალიზს (ცასე სტუდეს), უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობას და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას. სწორედ ამგვარი მიდგომის მაგალითია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 1997-2002 წლებში განხორციელებული პროექტი, რომლის ინიციატორი და თანამონაწილე იყო გერმანიის ქალაქთმშენებლობისა და

მიწათმოყვობის აკადემია. პროექტის ფარგლებში მოხდა შერჩეული უბნის - ავლაბრის - წინასაპროექტო კვლევა, შესწავლილი მასალის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა საპროექტო დავალება საკურსო-საკონკურსო პროექტირებისათვის. „გარე ავლაბრის განახლების“ სტუდენტურ პროექტში (1997-2002 წწ.) მონაწილეობა მიიღო 219 სტუდენტმა, მათ შორის იყო ხუთი გერმანელი სტუდენტი კაიზერსლაუტერნის ტექნიკური უნივერსიტეტიდან.

კონკურსის შედეგად გარე ავლაბრის რეკონსტრუქციის თემაზე დაგროვდა როგორც ანალიტიკური, ასევე მნიშვნელოვანი საპროექტო მასალა, რომლის საფუძველზე გამოიცა ილუსტრირებული ალბომები.

სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი წარმატებულად აგრძელებს ურთიერთობას უცხოურ უნივერსიტეტებთან.

პირველი საერთაშორისო კონფერენცია „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: სტრატეგიები და გამოწვევები“; 12 ოქტომბერი, 2017 წ.სტუ, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი; კოსტავას 77 I-c კორპუსი; 403 აუდიტორია;

web-საიტი: <https://sites.google.com/gtu.ge/tempus-rethinke/home>

## **28. კომპიუტერული გრაფიკისა და ავტომატიზებული პროექტირების ცნებით-ტერმინოლოგიური ელექტრონული განმარტებითი ლექსიკონის შექმნის აქტუალობის შესახებ.**

პროფ. თინათინ ჩიგოგიძე, ზ. კიკნაძე, ბ. ცხადაძე

ანოტაცია

თანამედროვე ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური სიახლეების გამოყენების პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭება კომპიუტერულ გრაფიკას. აღსანიშნავია მისი ინტერდისციპლინური როლი, რაც სასწავლო დისციპლინათა შორის და ასევე სახვითი ხელოვნებისა და წარმოების სხვადასხვა დარგების ასოციატიურ კავშირში მდგომარეობს. კომპიუტერული გრაფიკის დაუფლება სტუდენტების და სპეციალისტების ფართო სპექტრის შემდგომი პროფესიული ორიენტაციისა და გადამზადების საფუძველად არის მიჩნეული. მომავალი და შემდგარი ინჟინრები, დიზაინერები, არქიტექტორები, ურბანისტები, კონსტრუქტორები, მოდელიორები, დეველოპერები, გეო-ინფორმაციული და ავტომატიზებული პროექტირების სისტემების ოპერატორები, მულტიმედიური პროექტირების სპეციალისტები, ასევე რიგი სხვა სამოქალაქო, სამრეწველო და სამხედრო ტექნიკურ/ტექნოლოგიური სპეციალობების დაუფლების მსურველები კომპიუტერულ გრაფიკას ერთ-ერთ პრიორიტეტულ დისციპლინად უნდა მოიაზრებდნენ. რაც შეეხება ავტომატიზებულ პროექტირებას, იგი არა მარტო დეკლარირებულ, არამედ ნორმატიულ (სავალდებულო) დონეზეა აღიარებული.

აღწერილი გარემოება აისახება იმაში, რომ განსახილველი პროდუქტი, უნდა იყოს არა მარტო რეტროსპექტიული და დღევანდელი მდგომარეობის აღმწერი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი, არამედ პერსპექტიული ტექნოლოგიების ამსახველი, წინმსწრები ცნებით-ტერმინოლოგიური კომპიუტერული გრაფიკისა და ავტომატიზებული პროექტირების ტერმინების ელექტრონული განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც განსახილველ დარგში დამხმარე სახელმძღვანელოს ფუნქციასაც შეითავსებს.

ლექსიკონის სამენოვნებას - ქართულ-ინგლისურ-რუსულ, ტრილინგვიზმს განაპირობებს:

- ქართული ტექნიკური და ინფორმაციულ-კრეატიული ტერმინოლოგიის სიმწირე (განსახილველ სფეროში), რაც ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნილებებსა და ინტელექტუალურ (შემეცნებით, სასწავლო, საწარმოო და შემოქმედებით) გამოწვევებს.
- ინგლისურენოვანი ცნებითი-ტერმინოლოგიური ფონდის აღიარება, საბაზისო (ცოდნათა ბაზის) საფუძვლად, რადგანაც ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერი პროგრამული პაკეტები, შესაბამისი გლოსარიები და გზამკვლევები უმეტესად ინგლისურ ორიგინალებშია წარმოდგენილი.
- ლექსიკონის რუსულენოვანი ნაწილი განიხილება, როგორც ადეკვატური თარგმნის კონტროლისა და მომხმარებელთა არეალის გაფართოების საშუალება.

პირველი საერთაშორისო კონფერენცია „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: სტრატეგიები და გამოწვევები“; 12 ოქტომბერი, 2017 წ.

სტუ, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი; არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი, კოსტავას 77 I-c კორპუსი; 403 აუდიტორია;

web-საიტი: <https://sites.google.com/gtu.ge/tempus-rethinke/home>

## 29. "ახალი განზომილებები არქიტექტურაში"

ასისტენტ პროფესორი თ. ტაბატაძე;

### ანოტაცია

არქიტექტურული პროცესის სტრატეგიისა და შესაძლო მიმართულებების განსაზღვრა უნდა განიხილებოდეს იერარქიული ფორმულის შესაბამისად: მასალები ტექნოლოგიები ფორმები. სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის თანამედროვე მდგომარეობა არსებითად აფართოებს არქიტექტურის შესაძლებლობებს, განსაკუთრებით ფრაქტალური ფორმების რეალიზაციის ასპექტში. შეიძლება მოვიყვანოთ ნაგებობათა თანამედროვე მაგალითები, რომლებიც აერთიანებენ ფუნქციონალურობას, ტექნოლოგიურობას, ეკოლოგიურობასა და წარმოსახვით გადაწყვეტას, იყენებენ ფრაქტალური სტრუქტურირების პრინციპებს, თანაც შეგნებულად და მიზანმიმართულად.

ნაშრომში განხილული პრობლემატიკის შემდგომი კვლევის გზები უშუალოდ დაკავშირებულია მულტიმედიური პროექტირების მეთოდების დანერგვასთან და ვირტუალური და რეალური არქიტექტურული გარემოს ურთიერთმიმართებების სიღრმისეულ გააზრებასთან. იმედს გამოვთქვამთ, მოპოვებული მასალები და მათი განხილვის შედეგები იქნება ბაზა შემდგომი წარმატებული თეორიული ძიებებისთვის და სასწავლო პროგრამების სრულყოფისთვის.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი

ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია

ამერიკისმცოდნეობის XVIII საერთაშორისო კონფერენცია

**30. „არქიტექტურის და მუსიკის როგორც სინტაქსური სისტემების საერთო სემიოტიკური მოდელის შესაძლებლობის შესახებ (პიტერ ეიზენმანის კონცეპტუალური არქიტექტურის მაგალითზე)“**

ასოცირებული პროფესორი დავით ბოსტანაშვილი

ანოტაცია

ამერიკელი არქიტექტორის და თეორეტიკოსის პიტერ ეიზენმანის მთავარი ინტერესი არქიტექტურის გრამატიკული ასპექტია. ის, რომ არქიტექტურა შიდა სინტაქსური წესებით მუშაობს და ამ მუშაობის შედეგი შეიძლება შენობაც იყოს, აქტუალურ საკითხად რჩება, თუნდაც არქიტექტურული განათლების საწყისს ეტაპზე, როდესაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტს გადასცე აბსტრაგირების უნარი. აბსტრაგირების ოპერაცია არა მხოლოდ საპროექტო წინადადების არამედ თავად პრობლემის დანახვის აუცილებელი კომპონენტია.

არქიტექტურის შიდა გრამატიკულ წესრიგზე მსჯელობა სემიოტიკურ მოდელში თავსდება. სემიოტიკური სისტემების მაგალითებია ენა, ჟესტები, სურათები, ტექსტები დ.ა.შ. მუსიკა და არქიტექტურა ასევე სემიოტიკური სისტემებია, იმ განსხვავებით რომ მუსიკა სინტაქტიკური კოდის იდეალური მაგალითია. კლოდ ლევი-სტორსის სიტყვებით მუსიკა ეს არის „ენა მინუს აზრი (მნიშვნელობა)“.

თავისთავად არქიტექტურა ძნელად მოიაზრება ამგვარ კოდად - მას ყოველთვის აწევს რეპრეზენტაციის და სემანტიკური განზომილების ტვირთი. მოხსენებაში განხილული ეიზენმანისეული ტექსტები დაგვეხმარება არქიტექტურის ამ ტვირთისგან გათავისუფლებაში. შედეგად გზას გავუხსნით არქიტექტურულ აზროვნებას გაიშალოს მუსიკის ანალოგიურ წმინდა შემოქმედებით პროცესში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი  
ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია  
ამერიკისმცოდნეობის XVIII საერთაშორისო კონფერენცია

**31. „XX საუკუნის თბილისის წაშლილი არქიტექტურული მემკვიდრეობა“**

ასოცირებული პროფესორი დ. ბოსტანაშვილი

ანოტაცია

არსებობენ შენობები, რომლებსაც ქალაქში ვეღარ ვიპოვით. მათ მოკლე სიცოცხლის განმავლობაში არ მიუქცევიათ განსაკუთრებული ყურადღება ფართო საზოგადოების მხრიდან, არც განსაკუთრებულ ისტორიულ მოვლენებში არ მიუღიათ მონაწილეობა. მათი მშენებლობის პერიოდი კი იმდენად ახლოსაა ჩვენს თანამედროვეობასთან, რომ ისტორიულსაც ვერ ვუწოდებთ. თემა განიხილავს თუ რატომ უნდა შევინარჩუნოთ ხსოვნა ამ შენობების შესახებ, შესაბამისად ვეხებით მემკვიდრეობის საკითხს - რა იმსახურებს მემკვიდრეობის სტატუსს.

დამატებით განხილულია ჩანაცვლებების ფართე პროცესი რომელიც ბაზრის კანონებით მიმდინარეობს და წარმოვაჩინეთ ამ „განახლების“ უხილავ საფრთხეებს. თემა განიხილავს ოთხ კონკრეტულ შენობას, რომელიც ბოლო 30 წლის მანძილზე აშენდა, მათი აშენების და ჩანაცვლების ისტორიას.

აკადემიკოს ნოდარ ჯანბერიძის დაბადებიდან 90 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია XX-XXI საუკუნეების ქართული არქიტექტურა და ხელოვნება, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი თბილისი 1 დეკემბერი, 2017 წ.

გიორგი ათონელი ქ. №9

### **32. მდგრადი ავეჯის დიზაინი - როგორც ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნების ფაქტორი(ამერიკული გამოცდილება)**

ნათია ქოჩლაძე

რეზიუმე

"გარემოსადმი პასუხისმგებელ დიზაინში" იგულისხმება მდგრადი დიზაინი და მწვანე დიზაინი. ამ ორ ტერმინს ხშირად მონაცვლეობით ხმარობენ, თუმცა მათ შორის მცირე განსხვავება მაინც არსებობს. მწვანე დიზაინი გულისხმობს დიზაინს, რომელიც ადამიანების ჯანმრთელობას და კეთილდღეობას იცავს, ხოლო მდგრადი დიზაინი ასევე გარემოსა და მსოფლიო ეკოსისტემებს იცავს მომავალი თაობებისთვის. მდგრადი დიზაინი – ეს არის ცალკეული ობიექტების შექმნის, ან გარემოს კომპლექსური აგების ფილოსოფია, რომელიც ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობის პრინციპებზეა დაფუძნებული. მდგრადი განვითარების მანიფესტი მოიცავს ალუდგენელი ბუნებრივი რესურსების გამოყენების აკრძალვას, წარმოებისას გარემოზე მინიმალურ ზეგავლენას, ხაზს უსვამს ადამიანის და ბუნების უწყვეტ კავშირს. ეს ფილოსოფია ესადაგება როგორც "მიკროკოსმ"-ს – საყოფაცხოვრებო მცირე საგნების პროექტირებას, ასევე "მაკროკოსმ"-ს – მთელი ქალაქების პროექტირებას, ადამიანის საცხოვრებელი გარემოს ფორმირებას, რაც, ასე თუ ისე, დედამიწის ბუნებრივ ლანდშაფტს ცვლის. მდგრადი განვითარების საფუძვლები გამოიყენება დიზაინის ბევრ სფეროში, როგორცაა არქიტექტურა, ლანდშაფტური დაგეგმარება, ქალაქგეგმარება, გრაფიკული დიზაინი, აგრეთვე ინტერიერის და ავეჯის დიზაინში. მდგრადი ავეჯის შექმნაზე აქტიურად მუშაობენ ამერიკელი დიზაინერული კომპანიები: ურბან ვუდს, ვერმონტ ვუდ სტუდიოს, ეკოვეტ, ურბანგრინ, სუსთეინებლ ფარნიჩარ ინქ, მანჩესტერ ვუდ, ფანჩერჩეარ და სხვა.

ორგანიზაცია LEED-ის (Leadership in Energy and Environmental Design) მოთხოვნების მიხედვით, მდგრადი მასალები, ეს არის მასალები, რომლებიც სწრაფად განახლებადი რესურსებიდან მზადდება, არის ძალზე გამძლე, გადამუშავებას ექვემდებარება და მცირე რაოდენობით მავნე ნივთიერებებს გამოყოფს. განახლებადი რესურსები და პროდუქცია ან ხელოვნურადაა გამოზრდილი ან ბუნებრივ პირობებში იმდენი იზრდება, რომ მისი განადგურების საშიშროება არ არსებობს. მასალის არჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს

როგორც გარემოსადმი მდგრადობა, ასევე ეკონომიკური (ფასი, ხელმისაწვდომობა) და სოციალური (თერმული კომ-ფორტი, სიმყარე, გამძლეობა) ასპექტები. გარემოსადმი პასუხისმგებელ დიზაინს ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა ჰარმონიაში მოჰყავს, ამ ურთიერთობაში ადამიანის პასუხისმგებლობის დონეს უფრო მაღლა წევს და ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნების აუცილებელი ფაქტორია.

ამერიკისმცოდნეობის XVIII ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, თსუ, 2017წ.

### **33. „სტივენ ჰოლის ფენომენოლოგიური არქიტექტურა“**

მაია დავითაია

რეზიუმე

მოხსენება მიმოიხილავს სტივენ ჰოლის მკაფიოდ გამოხატულ პოზიციას, რომელიც მას აქვს თანამედროვე არქიტექტურაში. აინტერესებს სამი რამ: კონცეფცია, სიცხადე და მათ შორის კავშირი. მის სტილს არც თუ ისე იშვიათად უწოდებენ ლოუ-ტეკს არქიტექტურული (ჰაი-ტეკის) ტენდენციის საპირისპიროდ. სტივენ ჰოლის ყველა ნამუშევარს ღრმა თეორიული საფუძველი ახლავს. პროექტებს საფუძვლად უდევს იდეა, რომლის განუყოფელი ნაწილია ადგილი, კონტექსტური გარემო და შემდეგ ფორმა. ვენაში გამოფენის გამართვისას ჰოლმა მოიფიქრა სახელწოდება, რომელიც მისი შემოქმედების არსს წარმოადგენს - „იდეა და ფენომენი“. სტივენ ჰოლის აზრით, არქიტექტორს უნდა შეეძლოს რეალობასა და ფანტაზიას შორის ბალანსირება, გამოცნობა იმისა, თუ რამდენად რელატიური იქნება ესა თუ ის შენობა კონკრეტულ ადგილზე მომავალში. მის ბევრ პროექტში იგრძნობა ილუზიის რეალობად ქცევის მცდელობა, გრავიტაციის კანონების დამღევა, სივრცის მრვალშრიანი აღქმა. ყოველ ამ მისწრაფებას არქიტექტორი ერთ ფილოსოფიურ დებულებაში უყრის თავს, რომელსაც არქიტექტურის ფენომენოლოგიას უწოდებს.

ივ.ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ამერიკისმცოდნეობის XVIII ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია 11-13 მაისი 2017 წ.

### **34. „ეროვნული იდენტობის საკითხი XX-XXI საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში“**

მაია დავითაია

რეზიუმე

მსოფლიო არქიტექტურულ მოძრაობაში, მათ შორის საქართველოშიც, იყო პერიოდი, როდესაც სიტყვა „ეროვნული“ აღიქმებოდა ჩამორჩენილობისა და პროვინციალიზმის სინონიმად. ამის შედეგად ეროვნული ფასეულობების გადაფასება მოხდა. ამას არქიტექტურის მრავალი შესანიშნავი ქმნილება და ქალაქგეგმარებითი წარმონაქმნი შეეწირა. ეროვნულის გაგება დროსთან ერთად იცვლება. „ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური“ არქიტექტურა ტრადიციული ფორმებისა და სიმბოლოების გადმოტანა-გამოყენებას გულისხმობდა. დღეს „ეროვნული“ ფსიქოლოგიის სიღრმეებში, სულიერ წყობაში, მენტალობაში წვდომის პრობლემაა. „ეროვნულის“ ამგვარ გაგებამდე არქიტექტურული სამყარო ფუნქციონალიზმისადმი 60 წლიანი „ერთგული“ მსახურების შედეგად მივიდა. ეროვნულის გაგება განსხვავებულია ადამიანთა ინტელექტუალური დონიდან გამომდინარე.

“ეროვნულს” ზოგიერთი სიმბოლოებს, ორნამენტებს, ტრადიციულ არქიტექტურულ ფორმებს უკავშირებს. ზოგიერთისთვის საერთო განწყობილება და რემინისცენციებია განმსაზღვრელი. მოხსენებაში დღევანდელ არქიტექტურაში ამ ორი დამოკიდებულების გამოკვეთის წარმოდგენის მცდელობაა.

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში ეწყობა აკადემიკოს ნოდარ ჯანაშიას დაბადებიდან 90 წლისადმი მიძღვნილი კონფერენცია „XX-XXI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება და ხელოვნება“. მოხსენება 2017 წ.

## კონფერენციები – 2016 წ.

### 1. ტურიზმის განვითარების პერსპექტივა და მაღალმთიანი დასახლებების ადაპტაციის საკითხები მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მაგალითზე

ნათელა ჯობაძე, ნათია ქოჩლაძე

#### რეზიუმე

საქართველოს მთიანი რეგიონებისათვის ტურიზმი ეკონომიკურად მომგებიანი სფეროა. მოცემული ნამუშევრის მიზანია მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მაგალითზე საქართველოს ტერიტორიის ისტორიულ-კულტურული პოტენციალის შესწავლა და ტურისტულ სფეროში უფრო პერსპექტიული მიმართულებების დადგენა. ბოლო დროის მანძილზე ბევრი მაგალითი გაჩნდა კერძო მეწარმეთა მიერ ლოკალური, მოგზაურთათვის პოპულარული სასტუმროების განახლებისა, მაგრამ დღესდღეობით ჩვენ ასეთი აქტუალური საკითხის გადაწყვეტის უფრო მასშტაბური მიდგომა გვინტერესებს. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ კიდევ ერთხელ გავანალიზეთ მოცემული ტერიტორიის პოტენციალი და იმ დასკვნამდე მივედით, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში წარმატებულად შეიძლება განვითარდეს ტურიზმის ისეთი სახეობები, როგორცაა:

1. შემეცნებითი (ექსკურსიული) – მომლოცველობა, ეთნიკური ტურიზმი;
2. გამაჯანსაღებელი – ბალნეოლოგიური, კლიმატური;
3. სპორტული – ალპინიზმი, სათხილამურო სპორტი, რაფტინგი, საცხენოსნო სპორტი;
4. ეკოტურიზმი;
5. აგროტურიზმი;
6. ფოტოტურიზმი.

მდგრადი განვითარების ტურიზმის შესაბამისი განვითარების გეგმის ზედმიწევნით დამუშავება, ადგილობრივი მოსახლეობისა და მცირე ბიზნესის ჩართვა, გააზრებული არქიტექტურული გადაწყვეტა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ტურიზმის განვითარების მყარი საფუძველი იქნება.

კრებული: საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, 27-28 ოქტომბერი, 2016წ. ბაქო, გვ.37-40

**2. ფერი როგორც ფსიქოლოგიური მახასიათებელი, მისი როლი არქიტექტურული სივრცის ფორმირებისას;**

პროფესორი ნინო ხაბეიშვილი, დოქტორანტი მ. ცალქალამანიძე

### ანოტაცია

კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ფერი ერთ-ერთ მთავარ და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მისი ცხოვრებისეული ქმედითუნარიანობის ფორმირებაში.

ნაშრომში წარმოდგენილი ფერის შეგრძნებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა შინაარსზე ყურადღების სწორი ფოკუსირების საშუალებას იძლევა და ინტერიერის პროექტირებისას მეცნიერული მიდგომის პრაქტიკაში გამოყენების აუცილებლობას წარმოადგენს. ფერით, ფორმითა და განათების მეშვეობით ნაჩვენებია სივრცეში ფუნქციის სიმბოლიზების შესაძლებლობა და შექმნილია მიზანმიმართული ატმოსფერო, რომელიც შეესაბამება როგორც დამკვეთის მოთხოვნებს ასევე იმ ღონისძიებებს, რომელსაც ადგილი ექნება მოცემულ სივრცეში.

სტატია მიზნად ისახავს მეცნიერული მიდგომის მნიშვნელობის დასაბუთებას, რაც აუცილებელია დასახული ფუნქციის ჰარმონიული ფსიქოლოგიური კლიმატის მქონე თანამედროვე ინტერიერის არქიტექტურის ფორმირებისათვის.

"ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები-5", საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი-2016. (გვ. 224-229).

### 3. „გადაადგილებები პიტერ აიზენმანის არქიტექტურაში“

მაია დავითაია

### რეზიუმე

ნიუ ჯერსიში 1932 წელს დაბადებული, ამერიკელი არქიტექტორი პიტერ აიზენმანი, მრავალი საინტერესო პროექტის, თეორიული ნაშრომისა თუ იდეის ავტორია. ის დეკონსტრუქციული არქიტექტურის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ამ მიმართულებით მუშაობისას იკვლევს არქიტექტურას იდეის სახით, ხოლო შთაგონების წყაროდ ირჩევს ჟაკ დერიდას მოსაზრებებს და ფსიქოანალიზს. მისი აზრით არქიტექტურა უნდა იყოს კრიტიკული, არ უნდა ითვალისწინებდეს დამკვეთის მოთხოვნებს, არამედ პირიქით არქიტექტურამ უნდა დასახოს პრობლემა. ამ კონცეფციის თანახმად აიზენმანი ახორციელებს არა მარტო თეორიას არამედ აშენებს ნაგებობებს. ის ამტკიცებს რომ საქმე აქვს არა აბსტრაქტულ იდეებთან, არამედ იმასთან რაც აქამდე დამალული იყო თუმცა არქიტექტურა მას შეიცავდა. არქიტექტორის მოვალეობაა გამოაშკარავოს ის რაც დამალული იყო, დაეხმაროს იმის გამოხატვაში რაც მანამდე ითვლებოდა არაფუნქციუნალურად, უშინაარსოდ და ა.შ. 1990-იანი წლებიდან მისი მიმართულება იცვლება და ინაცვლებს არახაზოვანი არქიტექტურისკენ. ახალი შთაგონება წამოვიდა მეცნიერული აღმოჩენების მხრიდან, თვითორგანიზებადი ორგანული სტრუქტურების იდეიდან, ჟ.დელეუზის თეორიიდან-ფრაქტალური თეორიიდან. აიზენმანის არქიტექტურაში გადაადგილებას ენიჭება



უპირატესობა. ეს ეხება როგორც კედელს, ჭერს, და ა.შ. ასევე ადამიანის მოძრაობის ხაზს და შესაბამისად არქიტექტურა ამ ხაზით იქმნება. მოხსენებაში საუბარია "გადაადგილებებზე", რომლებსაც აიზენმანი იყენებს როგორც თეორიაში ასევე პრაქტიკაში.

ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ამერიკისმცოდნეობის მე-17 ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობისთვის, რომელიც ეძღვნება ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის 240-ე წლისთავს (სერტიფიკატი), 2016 წლის 21 მაისი, მოხსენება;

#### **4. „ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები პიტერ ეიზენმანთან“**

##### **რეზიუმე**

მოხსენებაში საუბარია "გადაადგილებებზე", ვერბალურ კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე, რომლებსაც ნიუ ჯერსიში 1932 წელს დაბადებული, ამერიკელი არქიტექტორი პიტერ აიზენმანი იყენებს როგორც თეორიაში ასევე პრაქტიკაში. აიზენმანი, მრავალი საინტერესო პროექტის, თეორიული ნაშრომისა თუ იდეის ავტორია. ის დეკონსტრუქციული არქიტექტურის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ამ მიმართულებით მუშაობისას იკვლევს არქიტექტურას იდეის სახით, ხოლო შთაგონების წყაროდ ირჩევს ჟაკ დერიდას მოსაზრებებს და ფსიქოანალიზს. მისი აზრით არქიტექტურა უნდა იყოს კრიტიკული, არ უნდა ითვალისწინებდეს დამკვეთის მოთხოვნებს, არამედ პირიქით არქიტექტურამ უნდა დასახოს პრობლემა. ამ კონცეფციის თანახმად აიზენმანი ახორციელებს არა მარტო თეორიას არამედ აშენებს ნაგებობებს. ის ამტკიცებს რომ საქმე აქვს არა აბსტრაქტულ იდეებთან, არამედ იმასთან რაც აქამდე დამალული იყო თუმცა არქიტექტურა მას შეიცავდა. არქიტექტორის მოვალეობაა გამოაშკარავოს ის რაც დამალული იყო, დაეხმაროს იმის გამოხატვაში რაც მანამდე ითვლებოდა არაფუნქციონალურად, უშინაარსოდ და ა.შ. 1990-იანი წლებიდან მისი მიმართულება იცვლება და ინაცვლებს არახაზოვანი არქიტექტურისკენ. ახალი შთაგონება წამოვიდა მეცნიერული აღმოჩენების მხრიდან, თვითორგანიზებადი ორგანული სტრუქტურების იდეიდან, ჟ.დელეუზის თეორიიდან-ფრაქტალური თეორიიდან. აიზენმანის არქიტექტურაში გადაადგილებას ენიჭება უპირატესობა. ეს ეხება როგორც კედელს, ჭერს, და ა.შ. ასევე ადამიანის მოძრაობის ხაზს და შესაბამისად არქიტექტურა ამ ხაზით იქმნება.

ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები-2016 IV საერთაშორისო კონფერენცია მოხსენება-სტატია კატალოგში 25-27 ნოემბერი გვ.150-154

#### **5.ჯულია მორგანი - პირველი ამერიკელი არქიტექტორი ქალი.**

მ.მილაშვილი, ვ.მჭედლიშვილი.

##### **ანოტაცია:**

სტატიაში განხილულია პირველი ამერიკელი არქიტექტორი ქალის ჯულია მორგანის შემოქმედების ძირითადი ეტაპები და მისი წვლილი ქალთა შორის არქიტექტურის, როგორც პროფესიის დანერგვა-განვითარებაში.

ამერიკის შესწავლის საკითხები. ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი. შრომების კრებული „ამერიკის შესწავლის საკითხები“ # VI. თბილისი. 2016 წ. გვ. 258-264;

## 6.თეთრი ფერის ფენომენი რიჩარდ მეიერის არქიტექტურაში

ვანდა მუჯირი, არქიტექტურის დოქტორ

ანოტაცია

რიჩარდ მეიერის შემოქმედებას განსაკუთრებული ადგილი უკავია თანამედროვე არქიტექტურაში. მეიერის ფილოსოფია ხაზს უსვამს მის რწმენას, რომ არქიტექტურა ადამიანის მოგონილია და ამიტომ ის ვიზუალურად უნდა გამოიყოფოდეს ბუნებისაგან. ასეთი მიდგომის მთავარი ელემენტია - მეიერის თეთრი ფერი.

მეიერითვის თეთრი ფერი არის მისი შემოქმედების სიმბოლო. ეს არის პრინციპი, რომელიც ხაზს უსვამს არქიტექტურულ კონცეფციებს და აძლიერებს ფორმის გამომსახველობას. ფერი მას ეხმარება მთავარი ამოცანის გადაწყვეტაში - სინათლით, სივრცით და ფორმით მანიპულირებაში. პროექტიდან პროექტამდე ის მეთოდურად უწევს პროპაგანდას საკუთარ პრინციპს და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში ტოვებს თავის ცნობად, განსაკუთრებულ ხელწერას და კვალს.

რიჩარდ მეიერის თოვლივით თეთრი შენობები უკვე ათწლეულებია ეტალონად იქცნენ ხუთივე კონტინენტის პრაქტიკოსი არქიტექტორებისათვის.

ამერიკისმცოდნეობის XVII ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია 2016 წ

## 7.მეოთხე განზომილება - ფუტურისტული ფანტაზიების რეალიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში ნ. ქოჩლაძე, ნ. ჯობაძე, ქ. ბერეკაშვილი

რეზიუმე

მე-20 საუკუნის დასაწყისში ფუტურისტულ მიმდინარეობაში გაჩნდა იდეა, რომ შესაძლოა შენობის მიწისზედა ნაწილი მოძრაობდეს. ორმოციანი წლებიდან ამ იდეის პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგნენ და ახალი მიმდინარეობა დინამიური, ასევე კინეტიკური არქიტექტურის სახელით გახდა ცნობილი. პიონერ ექსპერიმენტატორთა შორის იყო ამერიკელი არქიტექტორი, თეორეტიკოსი, ინვენტორი რიჩარდ ბუკმინსტერ ფულერი. მექანიკის, ელექტრონიკის და რობოტოტექნიკის სფეროში მიღწევების პარალელურად ბევრ ქვეყანაში და კერძოდ აშშ-ში გაიზარდა ინტერესი ამ მიმართულებისადმი და 21-ე საუკუნეში უკვე არაერთი, ფანტასტიურობის მიჯნაზე მდგომი ობიექტი არსებობს. სტატიაში განხილულია ამერიკელ ხელოვანთა მიერ და აშშ-ში შექმნილი რამოდენიმე საინტერესო კინეტიკური ობიექტი. ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ მეოთხე განზომილების მქონე, დროში ცვალებადი ობიექტები კინეტიკური თვისებების წყალობით ცოცხალ ორგანიზმებს ემსგავსება რაც ადამიანებსა და არქიტექტურას შორის ახალ, მჭიდრო კავშირებს ამყარებს.

ამერიკისმცოდნეობის XVII ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, თსუ, 2016წ.

## 2015 წლის კონფერენციები

### 1.XXI საუკუნის „რეაგირებადი არქიტექტურა“ ამერიკაში

ნ. ქოჩლაძე

## რეზიუმე

რეაგირებადი (მგრძნობიარე) არქიტექტურა დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს არქიტექტურული კვლევის სფეროში.

ტერმინი „რეაგირებადი არქიტექტურა“ ნიკოლას ნეგროპონტემ (ბერძნული წარმოშობის ამერიკელი არქიტექტორი) შემოიტანა, რომელიც პირველი დაინტერესდა ამ საკითხით, როდესაც მეოცე საუკუნის სამოციან წლებში სივრცული დიზაინერული პრობლემების შესასწავლად არქიტექტურაში კიბერნეტიკა მოიშველიეს.

ჩვეულებრივ რეაგირებადი არქიტექტურის განსაზღვრება ენიჭება იმგვარი კლასის არქიტექტურას ან შენობებს, რომელთაც შეუძლიათ შეიცვალონ ფორმა გარემო პირობების ცვალებადობის შესაბამისად.

აშშ-ში რეაგირებადი არქიტექტურის 21 საუკუნის მაგალითებს შორის შეგვიძლია დავასახელოთ ჩრდილოეთის სახლის პროტოტიპი- ვაშინგტონი, ბურკ ბრაის სოლეილ- კვადრაცი პავილიონი (მილუოკის ხელოვნების მუზეუმი), პრერიის სახლი ილინოისში, პავილიონი „ეკოვირენ“- კალიფორნია, „მოტივტივე“ სახლი ბრედ პიტის „მეიქ ით რაით“-ის ახალი ორლენის ორგანიზაციისთვის, „ესკინის“ პროტოტიპი - პენსილვანიის და კორნელის უნივერსიტეტები. როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, რეაგირებადი არქიტექტურაში მხოლოდ ხელოვნური ინტელექტის ასპექტი არ არის მთავარი, აქ მნიშვნელოვანია სივრცის შესწავლა ტექნოლოგიების საშუალებით. ჩანს, თუ როგორ შეიცვალა დამოკიდებულება სივრცის გარსისადმი, მისი აღქმა, გარსი მხოლოდ გარეს და შიდას საზღვარი აღარ არის. ეს ეხება როგორც ინტერიერის ასევე ექსტერიერის სივრცეს, საერთოდ არქიტექტურულ სივრცეს და მის მიღმა არსებულ ტექნოლოგიებს.

ამერიკისმცოდნეობის XVI ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, თსუ, 2015წ.

## 2014წლის კონფერენციები

### 1. „ძირითადი ტენდენციები ამერიკის არქიტექტურაში“

მაია დავითაია

#### რეზიუმე

ამერიკული არქიტექტურა საკმაოდ რთული მოვლენაა, როგორც ტრადიციების, რომლისგანაც ის აღმოცენდა, ასევე სტილთა მრავალფეროვნებით. ის გაუაზრებელი ეკლექტიკაა, განსაკუთრებული სტილი, მრავალსტილიანობა, რომელიც გვთავაზობს ხუროთმოძღვრული ფორმების კოქტეილს. პირველი ევროპელების გადმოსახლებამდე ამერიკელთა წინაპრებს უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდათ საკუთარი არქიტექტურული ტრადიციები. ჩრდილოეთ ამერიკაში 9-4 ათ. განვითარდა ინდიელთა კულტურა. კოლონიალურ პერიოდში (XVI ს.-1775 წ.) ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე გავრცელდა ევროპული კულტურა-ტურა. XVIII ს-ში არქიტექტურა ვითარდებოდა ემიგრანტების მიერ შემოტანილი ტრადიციებისა და ადგილობრივი თავისებურებების ნაზავით, რაც სხვადასხვა სტილს ბადებდა. ჯერ ნეოკლასიციზმი, XIX საუკუნის დასაწყისში ბერძნული სტილი, შუა წლებში კი - ბატონობდა რომანტიზმის სული, დიდ ქალაქებში უპირატესობა მიანიჭეს გოთიკას, XIX საუკუნის ბოლოს დიდივილების მშენებლობა დაიწყო. ეკლექტიკა მოდური გახდა. XIX საუკუნე გამოირჩეოდა ურბანიზმის არნახული ტემპით. XIX საუკუნის ბოლოდან დაიწყო ცათამბრჯენების მშენებლობა. 1920 წლიდან აშშ-ს არქიტექტურაში დომინირებს „საერთაშორისო სტილი“, რომელმაც უდიდესი

არქიტექტურული მიღწევები და სახელები დაუტოვა მსოფლიოს. 1960 წლიდან ამერიკაში დაიწყო პოსტმოდერნიზმის ეპოქა. XX საუკუნის 70-იანი წლები არქიტექტურაში მძიმე კრიზისის წლებია. კრიზისი არა სამშენებლო სამუშაოების, არამედ იდეების სიმცირის გამო, ამიტომ ამ პერიოდის თანამედროვე ამერიკულ არქიტექტურას არ აქვს მკაფიოდ გამოვლენილი „კარკასი“. 80-იანი წლებიდან აშშ-ში იწყება „არქიტექტურული დეკონსტრუქტივიზმი“, რომელიც უდიდეს გავლენს ახდენს მსოფლიო არქიტექტურულ პროცესებზე. ის განსაკუთრებულ ესთეტიკას ქმნის და ახალ წესს კარნახობს. ამერიკული არქიტექტურა არა ისტორიული, არამედ უტოპიურია. თვით წარსული აქ ხელოვნურად წარმოიქმნება მომავლისგან. ის ასახავს დღევანდელი ამერიკის კონტრასტებს და განუყოფელია თავისი სოციალური სტრუქტურებისგან და დამოკიდებულია ტექნიკურ პროგრესზე და მსოფლმხედველობის განვითარებაზე.

ამერიკისმცოდნეობის მეთხუთმეტე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია;  
შეერთებული შტატების პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპაში **15-17 მაისი 2014 წ.**

## 2.თბილისში გარე ვაჭრობის განვითარების პერსპექტივა

ნ. ქოჩლაძე

### რეზიუმე

ქუჩის ბაზრები პოპულარულია მთელ მსოფლიოში. ქალაქებში, სადაც სურთ მდგრადი აქტიურობა დაუბრუნონ საზოგადოებრივ სივრცეებს, რეგულარული განრიგის მქონე ბაზრებს იყენებენ. არსებული გამოცდილების შესწავლის შედეგად განისაზღვრა გარე ბაზრების სამი ძირითადი ტიპი: 1) პერმანენტული ბაზრები, 2) მომთაბარე, ყოველკვირეული ბაზრობები და 3) ღია დახლები. ძალზე საინტერესოა ყოველკვირეული ბაზრების ერთი ნაირსახეობა, რომელიც აპრობირებულია აშშ-ში., ამგვარი ბაზრის მაგალითად შეიძლება დევისის ფერმერული ბაზარი მოვიყვანოთ – მისი ერთ-ერთი უმთავრესი დადებითი მხარე არაფორმალური და დროებითი დიზაინია. ქალაქის ცენტრის მიმდებარე პატარა საზოგადოებრივი პარკში დილით ადრე ჩამოდიან ფერმერები. მყიდველების მოსვლასთან ერთად ტროტუარი მთელი კვარტლის სიგრძეზე პრომენადად იქცევა. დევისის ფერმერების ბაზარი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია სწორად მიგნებულ საზოგადოებრივ დიზაინსა და მენეჯმენტს იაფად, სწრაფად და ხანმოკლე დროით შეასრულოს ადამიანთა ბევრი მოთხოვნა.

რამდენიმე წლის წინ თბილისში გაჩნდა ყოველკვირეული ბაზრები. ინფორმაცია ამ ბაზრებზე, თუ რომელ უბანში რამდენი ფუნქციონირებს, მათი მისამართი და იმ პროდუქტების ჩამონათვალი, რისი შეძენაც შეიძლება ინტერნეტში სპეციალურ ვებგვერდზეც იყო განთავსებული.

ურიგო არ იქნებოდა ამ პროექტის განახლება და კიდევ უფრო მეტი მსგავსი ტერიტორიების შექმნა – თავისუფალი ტერიტორიები ვაჭრობისათვის. ამგვარი ზონები შეიძლება მრავალფუნქციურიც იყოს, მაგალითად, როგორცაა დევისის ფერმერული ბაზარი აშშ-ში. რადგან ქალაქში ცოტაა გამწვანებული, ორგანიზებული ტერიტორიები (პარკები, სკვერები), სასურველი იქნებოდა თბილისში ტრანსფორმირებადი პარკების დაგეგმარება, რომელიც რამდენიმე ფუნქციას შეითავსებდა. ეს იქნებოდა როგორც დასასვენებელი ადგილი, ასევე თავისუფალი ზონა, სადაც დღის განსაზღვრულ საათებში ფერმერები შეძლებდნენ საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას.

ამერიკისმცოდნეობის XV ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, თსუ, 2014წ.

## 2013 წ. კონფერენციები

### 1. „ერიკ ოუენ მოსი და კალვერ სითის ახალი სიცოცხლე“

მაია დავითაია

#### რეზიუმე

ერიკ ოუენ მოსმა სახელი გაითქვა სამყაროს მომავლის ორიგინალური ხედვით. მისი პროექტების უმეტესობა მიისწრაფის ინდივიდუალობისაკენ. ის მუშაობს არა კერძო დაკვეთებზე, არამედ მასშტაბურ საზოგადოებრივ პროექტებზე. მისი შენობები შეიძლება ვიხილოთ ა.შ.შ.-ში, რუსეთში, ჩინეთში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში და ყაზახეთშიც კი. ერიკ ოუენ მოსი ვირტუოზია, რომელიც ოსტატურად უხამებს ერთმანეთს ხესა და ფოლადს, ბეტონსა და შუმას, ნანგრევებად ქცეულ ძველ შენობებს აძლევს ახალ სიცოცხლეს. ერიკ ოუენ მოსი თითოეულ შენობას დიდი სკურპულოზულობით უდგება და პროექტირების დაწყებამდე თავის ჯგუფთან ერთად სწავლობს კონკრეტულ გარემოს, იკვლევს ქალაქის, ნაგებობისა თუ ტერიტორიის ისტორიას, უდრმავედება ყველა დეტალს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს კონცეფციას ფიქრს და შემდგომ დაპროექტებას.

მოსის ინდივიდუალურ მანერაში ამოიკითხება დეკონსტრუქტივიზმის ნიშნები. მისი ყველაზე ცნობილი ნამუშევარია ლოს ანჯელესის ერთ-ერთი გარეუბნის კალვერ სითის რეაბილიტაციის პროექტი. კალვერ სითი კინო ინდუსტრიის სათავეებთან იდგა, ხოლო 1915 წ. კინოსტუდიებმა ჰოლივუდში გადაინაცვლეს. ამ ქალაქში კი გაჩანაგებული სამრეწველო შენობები დატოვეს. მოსმა კალიფორნიული საწყობების გადაკეთების ორიგინალური ხერხი გამოიყენა და საოფისე შენობები დეკონსტრუქციულ სტილში გადაწყვიტა. შედეგად, ქალაქში ახალი ფუნქციის მატარებელი კვარტალი გაჩნდა.

2013 წლის 16-18 მაისი, ამერიკისმცოდნეობის XIV ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, მოხსენება

### 2. არქიტექტურა გარემოს ესთეტიკური სრულყოფის ხელოვნება.

ბ. თინიკაშვილი, მ.ჯავახიშვილი

#### რეზიუმე

წარმოდგენილია პროექტირების და მშენებლობის განვითარების სპეციფიკა ბოლო 20 წლის განმავლობაში. არქიტექტურულ-სამშენებლო პროცესში გამოვლენილია ადამიანის მიერ გარემოზე „ძალადობის“ ფაქტები. შედარებისთვის მოყვანილია მაგალითები იმ ობიექტებისა, რომლებიც ესთეტიკურად აუმჯობესებს (სრულყოფს) გარემოს, შესაბამისი კომპოზიციური გადაწყვეტით.

სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. სამეცნიერო კონფერენცია. არქიტექტურა და ქალაქმშენებლობის თანამედროვე პრობლემები. თბილისი 2013 წ.

